



სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №23
2017 წლის 10 ნოემბერი
ქ. სენაკი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის და კომისიის თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით ბიულეტენის ნიმუშისა და არჩევის პროცედურების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე მუხლის შესაბამისად

1. დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის და კომისიის თავმჯდომარის კენჭისყრით არჩევასთან დაკავშირებით ბიულეტენის ნიმუშები №№1,2,3 დანართების თანახმად.

2. ბიულეტენი გაცემის წინ უნდა დამოწმდეს ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარისა და საკრებულოს აპარატის უფროსის ხელმოწერით და საკრებულოს აპარატის ბეჭდით.

3. საკრებულოს წევრი მისთვის სასურველ კანდიდატს შემოხაზავს ბიულეტენზე, სპეციალურად გამოყოფილ ოთახში მდებარე მაგიდაზე განთავსებული ბურთულიანი ლურჯი ფერის საწერკალამით.

4. საკრებულოს წევრი სასურველი კანდიდატურის არჩევის შემდეგ, ბიულეტენს ათავსებს სპეციალურ კონვერტში, რომელიც დამოწმებულია საკრებულოს მრგვალი ბეჭდით.

5. ბიულეტენი მიიჩნევა ბათილად, თუ:

- ა) ბიულეტენი დამოწმებული არ არის ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარისა და საკრებულოს აპარატის უფროსის ხელმოწერითა და საკრებულოს აპარატის ბეჭდით;
- ბ) შეუძლებელია იმის დადგენა, რომელ კანდიდატს მისცა ხმა საკრებულოს წევრმა;
- გ) სპეციალურ კონვერტში აღმოჩნდა დადგენილ რაოდენობაზე მეტი ბიულეტენი;
- დ) ბიულეტენი საარჩევნო ყუთში აღმოჩნდა სპეციალური კონვერტის გარეშე.

6. დაევალოს საკრებულოს აპარატს მოახდინოს ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების დამზადება.

7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქუჩა № 247).

სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ჯუმბერ ლაშქარავა

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ბ ი უ ლ ე ტ ი ნ ი

(საკრებულოს თავმჯდომარის არჩევა)

(შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი მხოლოდ ერთი კანდიდატურის რიგითი ნომერი)

1 _____

2 _____

ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარე _____
(ხელმოწერა)

საკრებულოს აპარატის უფროსი _____
(ხელმოწერა და ბეჭედი)

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო
ბ ი უ ლ ე ტ ი ნ ი
(საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს არჩევა)
(შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი მხოლოდ ერთი კანდიდატურის რიგითი ნომერი)

1 _____

2 _____

ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარე _____
(ხელმოწერა)

საკრებულოს აპარატის უფროსი _____
(ხელმოწერა და ბეჭედი)

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ბ ი უ ლ ე ტ ი ნ ი

(საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის არჩევა)

(შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი მხოლოდ ერთი კანდიდატურის რიგითი ნომერი)

1 _____

2 _____

ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის თავმჯდომარე _____
(ხელმოწერა)

საკრებულოს აპარატის უფროსი _____
(ხელმოწერა და ბეჭედი)